ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

მამუკა ხამხაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ხათუნა თოიძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკა კობიაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ბლუაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნატო შაინიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);

ხათუნა ქერაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ცინცაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მიხეილ გაფრინდაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან ცირეკიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქ.ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219986629

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Zugdidi8@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	15/08/2023 MES 0 23 0000994639
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 12 და 13 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.ზუგდიდი,პუშკინის ქ.N157
	ზოგადი განათლების საშუალო	საშუალო	ქართული	ქ.ზუგდიდი,პუშკინის

	საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქ.N157

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს MES 0 23 0000994639 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლაში მის. ქ.ზუგდიდი , პუშკინის ქ.N157 - , ა.წ . 12 და 13 ოქტომბერს ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან. ნაწილი დოკუმენტებისა წარმოდგენილი იქნა სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს, რომელიც აზუსტებდა, ცვლიდა უკვე წარმოდგენილ დოკუმენტებს. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი ,მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ჩატარდა ინტერვიუირება, სკოლის დირექციასთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლაში სათანადო ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რომელიც არის სასწავლო პროცესი და მიმდინარეობს, არასაგაკვეთილო დროსა და სივრცეში. სკოლაში შექმნილი კლუბები (სამოქალაქო განათლების კლუბი „ერთობა“ , ლიტერატურული სალონი „დიდი ჯიბე“ , სპორტული კლუბი „მეგობრობა“ , ეკო კლუბი „ბუნების მკურნალი“, ხელოვნების წრე ფერადი სამყარო) მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს მისთვის საინტერესო თემებს, იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი და მეგობრებთან ერთად , ინტერესებიდან გამომდინარე, დაგეგმოს, განახორციელოს ბევრი საინტერესო აქტივობა. არაფორმალური სწავლებისას მოსწავლეები არიან სწავლების აქტიური მონაწილეები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული უნარების, ცხოვრებისეული და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებას. ამ უნარების დაუფლებით, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადება მოსწავლე და ხდება თავდაჯერებული.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 270	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 15 ივლისის ჩათვლით) უზრუნველყოს:* ➢ *საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება.* ➢ *შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტირებული ორგანოს მიერ) მოპოვება.* ➢ *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება*
3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით) უზრუნველყოს, სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.*	*სკოლას მიეცა რჩევა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ სამუშაო ჯგუფს ჰქონდეს საკმარისი დრო, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული პირების ჩართულობა და სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვა.*
1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*სტრატეგიულ გეგმაში მოცემული SWOT ანალიზი არასრულად ასახავს სკოლის სუსტ მხარეებს, რომელიც დაკავშირებულია სასკოლო ინფრასტრუქტურასთან, კერძოს სუსტ მხარეებში არ არის იდენტიფიცირებული ის გარემოება, რომ სკოლას არ გააჩნია დახურული სპორტული და საქტო დარბაზები (აღნიშნულ გარემოება აღნიშნულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული, როგორც სკოლის სუსტი მხარე). სკოლას მიეცა რჩევა SWOT ანალიზის შემუშავებისას არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს გარემოში უკვე არსებული და შესაძლო დადებითი და უარყოფითი გავლენის ფაქტორები და მოახდინოს მათ შორის კავშირების იდენტიფიცირება.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლას მიეცა რჩევა დირექტორის უფლება-მოვალეობების შესახებ ჩანაწერი ამოიღოს თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანებიდან. (ბრძანება N2-90 31.07.2023 წ).*

3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.*
3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას მიეცა რჩევა ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს და კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კონკურსის პირობები) დაადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესით.*
3.2.1.2.	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა რჩევა პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი გააკეთოს სწავლისა და გაგების პროცესსა და მხარდაჭერაზე, ნაცვლად შეფასებითი დამოკიდებულებისა.*
3.2.1.4.	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;*	*თანამშრომლების ეფექტური მოძიებისა და შერჩევის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რითაც ორგანიზაციას შეუძლია გააუმჯობესოს ტალანტების მართვის ეფექტურობა, არის ადაპტაციის პროგრამის სტრატეგიულად გამოყენება, წინასწარ გაწერილი მექანიზმების საშუალებით. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ადაპტაციის პროგრამა, რომლითაც დარეგულირდება ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცესი.*

3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლას მიეცა რჩევა* ➢ *,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.* ➢ *სკოლის სამედიცინო კაბინეტში მოაწყოს ძირითადი სივრცისგან შემოსაზღვრული გამყოფი ბარიერი, მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.*
3.6.2.4.	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.*	*სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები*
3.7.1.2.	*სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*სკოლას მიეცა რჩევა ფინანსური რესურსის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, შეიმუშაოს სკოლის ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ბიუჯეტის შედგენის მთელ პროცესში იმ მხარეების ჩართვას, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული მომსახურების ხარისხითა და ამ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მიზნობრიობით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებულ ბიუჯეტზე და შეეძლოს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება სკოლის ფინანსური რესურსების განკარგვასთან დაკავშირებით*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
4.1.2.1.	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;*	*სკოლას მიეცა რჩევა სკოლის დირექტორის ბრძანებით (2023 წლის 22 სექტემბრის N2-117 ბრძანება), დამტკიცებული ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტის" სახელწოდება (ბრძანების სათაური) შესაბამისობაში მოიყვანოს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონთან.*
4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური*	*სკოლას მიეცა რჩევა დიაგნოსტირების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უზრუნველყოს იმ მოსწავლეების გამოვლენა, რომლებსაც*

	მიღწევების გასაუმჯობესებლად;	*სირთულეები აქვთ კონკრეტული საგნის სამიზნე უნარებში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. საჭიროების შემთხვევაში უნდა შედგეს რემედიაციის გრაფიკი, შემუშავდეს მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს.*
4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.*	*სკოლას მიეცა რჩევა კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა (შესაძლებელია იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი და განხორციელდეს წინასწარ გაწერილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით), რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*რჩევა*
2.2.2.4.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სკოლას მიეცა რჩევა,* ➢ *სახელმწიფო ენაში დაწყებით საფეხურზე შეიმუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემებთან მიმართებაში.* ➢ *უცხოურ ენებში შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა,*

		გაუმჯობესება (2.2.2.4) ინდიკატორის აღწერაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით
2.3.2.1.	*შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს*	*სკოლას მიეცა რჩევა დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენაში შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით.*
2.3.2.2.	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;*	*სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს ყველა ის კონტექსტი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, სკოლამ უნდა განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	*რჩევა*
2.1.1.3.	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს შორის მეტი თანამშრომლობითი ურთიერთობის ეფექტური მექანიზმი. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ცალკე შეიქმნას სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის კათედრა.*
2.2.2.4.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სკოლას მიეცა რჩევა უცხოურ ენებში შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება (2.2.2.4) ინდიკატორის აღწერაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით*
2.3.2.2.	*შეფასება ხორციელდება მრავალი*	*სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს ყველა ის*

	კონტექსტის გათვალისწინებით	*კონტექსტი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, სკოლამ უნდა განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საშუალო საფეხური)**	*რჩევა*
2.1.1.3.	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს შორის მეტი თანამშრომლობითი ურთიერთობის ეფექტური მექანიზმი. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ცალკე შეიქმნას სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის კათედრა.*
2.2.2.4.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სკოლას მიეცა რჩევა უცხოურ ენებში შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება (2.2.2.4) ინდიკატორის აღწერაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით.*
2.3.2.2.	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;*	*სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს ყველა ის კონტექსტი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, სკოლამ უნდა განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში- ავტორიზაციის დებულება) 25[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების მე-15[2] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

3.4.1.1. ინდიკატორი სკოლას არ აქვს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან/და მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.
- შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტებული ორგანოს მიერ).

3.5.1.3. ინდიკატორი - სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებას.
აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის მტკიცებულება, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების მე-15 მუხლის მე - 10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზთან მიმართებით: ინდიკატორი N 1.1.1.1 ; N 1.1.1.2. ; N 1.1.1.3. ; N 1.1.1.4 ; N 1.1.1.5 ; N*1.2.1.2 ;* N*3.1.2.3 ; N 3.4.1.5 ; N 3.4.1.6 ; N 3.6.2.1 ; N 3.6.3.1 და N 3.6.3.5.*
ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია სტანდარტის ინდიკატორების მოთხოვნებთან, აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქ.ზუგდიდის N8 საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წწ) და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წწ) . წარმოდგენილ დოკუმენტებში დეკლარირებულია იდენტური შინაარსის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, კერძოდ სკოლის მისიაა თავისუფალი, მრავალმხრივ განვითარებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ტოლერანტი, მორალურ-ზნეობრივად სრულყოფილი მოქალაქის აღზრდა-ჩამოყალიბება. სკოლაში უსაფრთხო, პოზიტიური, თანამშრომლობითი, ურთიერთპატივისცემასა და თანადგომაზე აგებული გარემოს შექმნა. სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები (სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები). სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N2-102 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით შექმნილ ჯგუფს დაევალა 2023 წლის 05 სექტემბრამდე სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება და აღნიშნულ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის დირექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფისთვის განსაზღვრული დრო არის არაგონივრული, შესაბამისად არ იძლევა იმის რწმუნებას რამდენად სრულყოფილად წარიმართა პროცესი და რამდენად ჰქონდათ დაინტერესებულ მხარეებს პროცესში ჩართვის საშუალება. **სკოლას მიეცა რჩევა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ სამუშაო ჯგუფს ჰქონდეს საკმარისი დრო, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული პირების ჩართულობა და სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვა. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება უზრუნველყო სამუშაო ფორმატში. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტის თანახმად მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების

პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: ა) სკოლის ვებგვერდი; ბ) სოციალური ქსელი; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ძირითად დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა) და სკოლის ვებ.გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის საჯარო ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

6. სკოლის სახელწოდება (სსიპ ქ.ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა) შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N2-102 ბრძანება
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წწ.
- სკოლის ვებ.გვერდი - skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა შვიდწლიანი, (2023- 2030წწ) სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია

მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიულ გეგმაში მოცემული SWOT ანალიზი არასრულად ასახავს სკოლის სუსტ მხარეებს, რომელიც დაკავშირებულია სასკოლო ინფრასტრუქტურასთან, კერძოს სუსტ მხარეებში არ არის იდენტიფიცირებული ის გარემოება, რომ სკოლას არ გააჩნია დახურული სპორტული და სააქტო დარბაზები (აღნიშნულ გარემოება აღნიშნულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული, როგორც სკოლის სუსტი მხარე). **სკოლას მიეცა რჩევა SWOT ანალიზის შემუშავებისას არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს გარემოში უკვე არსებული და შესაძლო დადებითი და უარყოფითი გავლენის ფაქტორები და მოახდინოს მათ შორის კავშირების იდენტიფიცირება. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2023-2024 წწ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. .სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მზაობა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის, მოახდინოს დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (ბრძანება N2-90 31.07.2023 წ). დოკუმენტი აზუსტებს დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. აღნიშნული დოკუმენტში გაწერილია სკოლის დირექტორის უფლება-მოვალეობა. **ვინაიდან სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს განსაზღვრავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი სკოლას მიეცა რჩევა დირექტორის უფლება-მოვალეობების შესახებ ჩანაწერი ამოიღოს თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანებიდან.**

სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; ბიბლიოთეკარი; საქმისმწარმოებელი; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საგნის მასწავლებლები; არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან: სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი. სკოლაში დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. სკოლის სტრუქტურული მოწყობა

შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანება.
- საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია:

ა) სკოლის ადამიანური რესურსების მართვა;

ბ) სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება;

გ) სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა;

დ) სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ე) დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება;

ვ) სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა;

ზ) ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება.

ინდიკატორი შეესაბამება

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან

შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. **სკოლას მიეცა რჩევა დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის N 2-108 ბრძანებით გამოცხადებულია ღია კონკურსი მასწავლებლის შესარჩევად. კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას რატომ ვერ შეივსო, არსებული ვაკანტური პოზიცია შიდა კონკურსის საფუძველზე და რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, ამასთან ბრძანებით არ არის დადგენილი ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს და კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კონკურსის პირობები) დაადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესით.**

დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეში განთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სკოლას უფროს მასწავლებელთან გაფორმებული აქვს უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, ხოლო წამყვან მასწავლებელთან წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება (ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას მენტორი მასწავლებელი არ ჰყავდა). სკოლის პედაგოგების და პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ: სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი) რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. პედაგოგები გამოყოფენ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებულ აქტივობებს, კერძოდ აღნიშნავენ რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და სამუშაო შეხვედრაზე კოლეგებისათვის გაზიარება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების შესახებ დოკუმენტი
- შრომითი ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან.
- შრომითი ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან.
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში.
- სკოლის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების შესახებ დოკუმენტის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების სტრატეგიას, ხოლო აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლი ადგენს

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებს. დოკუმენტის მე-10 მუხლი არეგულირებს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები შესახებ დოკუმენტის მე-11 მუხლი არეგულირებს პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის ცალკეული ფუნქციის თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;

ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/ დაგეგმვას;

გ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

სკოლას მიეცა რჩევა პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი გააკეთოს სწავლისა და გაგების პროცესსა და მხარდაჭერაზე, ნაცვლად შეფასებითი დამოკიდებულებისა. ინდიკატორი შეესაბამება

3. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები შესახებ დოკუმენტის მე-9 მუხლი არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც სკოლა არსებობის შემთხვევაში, ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალმოსულ თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას მის სამუშაო პოზიციასა და როლთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე რა მოლოდინი აქვს მისგან ორგანიზაციას და რა ჩაითვლება სამუშაოს კარგად შესრულებაში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელს, რომ თავი იგრძნოს ღირებულად, გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა ორგანიზაციისა და მისი ღირებულებების მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლის კმაყოფილებისა და მოტივაციის დონეს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არ არეგულირებს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ექსპერტთა მოსაზრებით თანამშრომლების ეფექტური მოძიებისა და შერჩევის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რითაც ორგანიზაციას შეუძლია გააუმჯობესოს ტალანტების მართვის ეფექტურობა, არის ადაპტაციის პროგრამის სტრატეგიულად გამოყენება, წინასწარ გაწერილი მექანიზმების საშუალებით. შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ადაპტაციის პროგრამა, რომლითაც დარეგულირდება ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცესი. ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N 241 დადგენილება) დადგენილ მოთხოვნებთან.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია გასაჩივრების დეტალური პროცედურების შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის N 2-125 ბრძანებით), აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სკოლა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

სკოლის ბაზაზე საჩივრების განხილვის სისტემა ემყარა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა;
- საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა;
- საჩივრების პროცედურების სიმარტივე;
- გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის/მოკვლევის და გადაწყვეტისათვის;

- საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/მოკვლევა და გადაწყვეტა.

სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში და გასაჩივრების დეტალური პროცედურების შესახებ დოკუმენტში, აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლის ახალი რედაქცია წარმოდგენილი იქნა ავტორიზაციის ვიზიტის დროს. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- გასაჩივრების დეტალური პროცედურების შესახებ დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდებს. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი).*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატური (ორი მანდატური). სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი.

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (სკოლის ექიმის ნებადართული სპეციალობა არის ნეონატოლოგია). სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის N 2-125 ბრძანებით. სკოლის სამედიცინო კაბინეტში არ არის მოწყობილი ძირითადი სივრცისგან შემოსაზღვრული

გამყოფი ბარიერი, მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც არ მოდის შესაბამისობაში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან (ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). **სკოლას მიეცა რჩევა სამედიცინო კაბინეტში მოაწყოს ძირითადი სივრცისგან შემოსაზღვრული გამყოფი ბარიერი, მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.**

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით **სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

სკოლას ავტორიზაციის ვიზიტის დროს არ ჰქონდა:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ბ) დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან/და მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.

გ) შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტებული ორგანოს მიერ).

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს (დაგეგმილი აქტივობის დასრულების საბოლოო ვადაა 15.07.2024 წელი), პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 15 ივლისის ჩათვლით) უზრუნველყოს:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება.
- შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტირებული ორგანოს მიერ) მოპოვება.
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

ავტორიზაციის დებულების მე-15[2] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად აღნიშნული ინდიკატორი არის **„მეტწილად შესაბამისი“.**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატური. სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია (შინაგანაწესის მე-7 მუხლი) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც იქნებოდა დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებს, დაინტერესებულ პირებს საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სანიტარული კვანძი მოწყობილია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი

უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სველი წერტილები განთავსებულია, მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 26 სექტემბრის N 2-125 ბრძანებით). **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 სექტემბრის N2-119 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს.

სკოლის მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი **იქნა სკოლის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ სკოლის სამეურვეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილება (ოქმი N9 06.11.2023 წ) და შინაგანაწესის ახალი რედაქცია, დოკუმენტში გაწერილი მექანიზმები შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონთან. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

7. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს

სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემების დამუშავების წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.
- სკოლის ექიმის სერტიფიკატი და დიპლომი
- სკოლის ექიმთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 26 სექტემბრის N 2-125 ბრძანებით)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის შენობა არის კეთილმოწყობილი. სკოლას არ აქვს დახურული სპორტული და სააქტო დარბაზი. სპორტული და სკოლის მიერ ორგანიზებული სხვა აქტივობები ტარდება სკოლის ეზოში და სკოლის ღია სპორტულ მოედანზე, რომელიც საჭიროებს რემონტს. სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით სკოლის დირექციას მიმართული აქვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოზე (წერილი MES 0 23 0000887962 17.07.2023წ). უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. სკოლის მატერიალური რესურსი, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო

აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლა განთავსებულია ორ სართულიან შენობაში. სასწავლო შენობაში განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, მათ შორის პირველ სართულზე 3 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე სართულზე 5 საკლასო ოთახი. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, შესაბამისად ზოგიერთ კლასში ცვლების მიხედვით სხვა და სხვა კლასის მოსწავლეები სწავლობენ. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, მანდატურის ოთახი, საქმისმწარმოებლის/ბუღალტრის ოთახი (სკოლას ცალკე სამასწავლებლო არ აქვს), დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია და სათავსო. სკოლაში არის გათბობის ცენტრალური სისტემა, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლას ასევე აქვს მცირე სივრცე სასადილოსთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

2 სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რადგან სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლას აქვს რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლას ასევე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

ვინაიდან სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსი, (რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებას, ამასთან კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე და ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის) სკოლას დასკვნის პროექტით დაუდგინდა ხარვეზი.

სკოლის მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს

(დაგეგმილი აქტივობის დასრულების საბოლოო ვადაა 30.08.2024 წელი), პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით) უზრუნველყოს: სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

ავტორიზაციის დებულების მე-15[2] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად აღნიშნული ინდიკატორი არის **„მეტწილად შესაბამისი“.**

4. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ კეთილმოწყობილი ეზო, გამწვანებით და ყვავილებით, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მათ შეუძლიათ ეს რესურსები სასწავლო მიზნით გამოიყენონ არასაგაკვეთილო დროსაც. ამისთვის სკოლა უქმნის მათ ყოველგვარ პირობას და უპირობო მხარდაჭერა აქვთ მასწავლებლების მხრიდანაც. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც იძლევა სასწავლო პროცესის მაღალ ხარისხიანი წარმართვის საშუალებას, სკოლაში არის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სახელმძღვანელოები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შენობის შიდა აზომვითი ნახაზი*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
- *ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლას აქვს ციფრული

ტრანსფორმაციული ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 13 ლეპტოპი, 9 პერსონალური კომპიუტერი, 4 ლეპტოპი გადაცემული აქვთ პირველი - მეოთხე კლასის მასწავლებლებს. სკოლას აქვს 7 პროექტორი. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს განრიგს, რომელიც თავსდება კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. სივრცე ღიაა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:00 - 18:00 საათამდე .უქმე დღეებში სივრცე გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესს არეგულირებს ციფრული განვითარების გეგმა.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-169 7.11.2023 წ), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისწარმოების წესი ასევე მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციის, საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. თუმცა სკოლას აღნიშნული პროცესები არა აქვს აღწერილი/დარეგულირებული შიდა აქტებით, შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ 2023 წლის 09 ნოემბრის MES 6 23 0001524509 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც სკოლა ადასტურებს, რომ უზრუნველყო ვებ.გვერდის გამართვისთვის შესაბამისი აქტივობების შესრულება. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებით დგინდება, რომ სკოლის ვებ.გვერდზე საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით განთავსებულია სათანადო ინფორმაცია სკოლის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება

2. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზისა და ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, ამასთან საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია სათანადო ინფორმაცია სკოლის შესახებ, კერძოდ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები (ინფორმაცია სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა კლუბების შესახებ), სკოლის შინაგანაწესი, საჩივრის წარდგენის წესი და პროცედურები, სკოლის ბიუჯეტი. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **ინდიკატორი შეესაბამება**
2. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. **სკოლას მიეცა რჩევა ფინანსური რესურსის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, შეიმუშაოს სკოლის ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ბიუჯეტის შედგენის მთელ პროცესში იმ მხარეების ჩართვას, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული მომსახურების ხარისხითა და ამ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მიზნობრიობით., ნებისმიერ დაინტერესებულ პირს**

ხელი უნდა მიუწვდებოდეს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებულ ბიუჯეტზე და შეეძლოს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება სკოლის ფინანსური რესურსების განკარგვასთან დაკავშირებით. ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს უფლებებს და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის დირექტორი, დირექციის წევრები, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის შესაბამისად ზოგადი განათლების მიღების მიზნით, მოსწავლის მშობელსა/შესაბამის უფლებამოსილ პირსა და სკოლას შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები შესახებ დოკუმენტი,
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N2-117 ბრძანებით), აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. ვინაიდან საჯარო სკოლა არ არის უფლებამოსილი მოსწავლეს შეუწყვიტოს სტატუსი, **სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტის სახელწოდება შესაბამისობაში მოიყვანოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან. ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;

ბ) მოსწავლეთა მობილობა;

გ) სტატუსის შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ;

დ) საფეხურის დაძლევა;

ინდიკატორი შეესაბამება

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. სადამრიგებლო პროგრამით დადგენილი აქტივობების შესრულება დასტურდება დამრიგებლის პორტფოლიოში განთავსებული დოკუმენტებით (მშობელთა კრების ოქმები, შესრულებული აქტივობის დამადასტურებელი ფოტომასალა).

კლასის დამრიგებლების პორტფოლიო ადასტურებს სკოლის მზაობას უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ცალკეული დოკუმენტები, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი
- სადამრიგებლო პროგრამა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი სათანადო მექანიზმები, კერძოდ სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, ადაპტაციის წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად. სკოლა მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი ბ) უფროსი და ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში; გ) სასკოლო მზაობა; დ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილება ასეთის არსებობის შემთხვევაში; ე) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე.

ინდიკატორი შეესაბამება

2. სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს , პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის და შემუშავებული მექანიზმების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია სარემედიაციო პროგრამა, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღნიშნული

პროგრამა იქმნება ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება, ბგერებისა და ასოების არევა და სხვ.

რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და სტრატეგიები. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ისეთ მოსწავლეებს, რომელთათვისაც სტანდარტული სასწავლო პროცესი სხვადასხვა საკვანძო/სამიზნე ინდიკატორით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის, ანუ გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებულ, არასრულყოფილად ნასწავლ/გამოტოვებულ კომპონენტთან მიბრუნებასა და ახლებურად სწავლებას იდენტიფიცირებული მოსწავლისათვის. სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმების შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება რომ რემედიაციის პროგრამა დანერგვის ეტაპზე და მისი ტოტალური გამოყენება არ ხდება, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა დიაგნოსტირების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უზრუნველყოს იმ მოსწავლეების გამოვლენა, რომლებსაც სირთულეები აქვთ კონკრეტული საგნის სამიზნე უნარებში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. საჭიროების შემთხვევაში უნდა შედგეს რემედიაციის გრაფიკი, შემუშავდეს მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური,

ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება.

ექსპერტთა მიერ სკოლის გამორჩეულ პრაქტიკად შეფასდა არაფორმალური განათლება, როგორც სასიცოცხლო პროცესი, რომლის დროსაც თითოეული მოსწავლე იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას. ეს კი მიიღება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ცოდნის დაკავშირებით.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- ✓ **სამოქალაქო განათლების კლუბი „ერთობა“** , კლუბის მიზანი და ამოცანებია: ა) ახალგაზრდების გააქტიურება და მათი მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში; ბ) სამოქალაქო განათლებისა და თემის განვითარების ხელშეწყობა; გ) მოზარდებში სამოქალაქო უნარ-ჩვევების და პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა; დ) მოსწავლეთათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და გამომუშავება; ე) განათლების და ინფორმირების მდგრადი გარემოს შექმნა.ვ) პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრა. შემუშავებულია კლუბის სამუშაო გეგმა და განსახორციელებელი აქტივობების კალენდარი.
- ✓ **ლიტერატურული სალონი „დიდი ჯიბე“** , რომლის ორგანიზებითაც ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს ტარდება „ხუთშაბათობა“. მთელი თვის განმავლობაში მოსწავლეები მუშაობენ მათ მიერ შერჩეულ ლიტერატურულ ნაწარმოებზე, რომელიც სალონის გეგმით არის გათვალისწინებული. შეხვედრაზე მსჯელობენ წაკითხულ წიგნზე, იმართება დისკუსიები, ფილმის ჩვენება.სალონური შეხვედრები ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. გარდა შიდა სასკოლო შეხვედრებისა ტარდება გასვლითი ღონისძიებები, რითაც მაღლდება მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარები და იხვეწება ინტელექტუალური დონე. სალონური შეხვედრები მოსწავლეებში აღვივებს წიგნის სიყვარულს და უმაღლებს მსოფლმხედველობას.
- ✓ **სპორტული კლუბი „მეგობრობა“** , რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პოპულარიზაციას მოსწავლეთა შორის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, აღმოაჩინოს აქტიური მოსწავლეები და განავითაროს მათი უნარები.

- ✓ **ეკო კლუბი „ბუნების მკურნალი“** , რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითარდეს ეკოლოგიური განათლებისთვის საჭირო ელემენტარული კვლევა-ძიებითი უნარ-ჩვევები და შეძლოს მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.პროექტი მიზნად ისახავს, მოსწავლეების თვალით დანახული, გარემოს დაცვის საკითხების და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას და მათი ჩართულობის გაზრდას. (სკოლის ეზოს გამწვანება და ცოცხალი ღობეების გაშენების მიზნით წიწვოვანი მცენარეების შეძენა, დარგვა და მოვლა).
- ✓ **ხელოვნების წრე „ფერადი სამყარო“** , რომლის მზიანია მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარება.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 26 სექტემბრის N 2-125 ბრძანებით), რომლითაც დარეგულირებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი პროცესები და განსაზღვრულია მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განხორციელებული სასკოლო პროექტები*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის განმარტებით, პროფესიული ორიენტაცია უმნიშვნელოვანესი აქტივობაა მოსწავლეობის ასაკიდან ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესში, რომლის ძირითადი მიზანია შეიქმნას პირობები რათა მოსწავლემ შეძლოს სასურველი პროცესიის შერჩევა საკუთარი ინტერესების, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, განვითარების პერსპექტივისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და აღნიშნულს შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ხდება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლას არაფორმალური გაწერილი აქვს პროფესიული ორიენტაციის გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებულია:

ა) "მოსწავლეთა სასურველი პროფესიების დადგენა გამოკითხვის მეშვეობით" - ყოველწლიურად, ოქტომბრის 15 რიცხვამდე დადგინდება თუ რა პროფესია/პროფესიებია მოსწავლეთათვის პრიორიტეტული.

ბ) "საორიენტაციო შეხვედრები" - პერიოდულად ჩატარდება საორიენტაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან, სადაც ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელი გააცნობს მოსწავლეთა ჯგუფებს კონკრეტულ პროფესიაში არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს

გ) "საკონსულტაციო შეხვედრები მოსწავლეებთან" - ერთის მხრივ კონკრეტული საგნის მასწავლებლების, მეორეს მხრივ კონკრეტული სპეციალისტების ჩართულობით გაიმართება ინდივიდუალური/ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრა მოსწავლეებთან წლის მანძილზე მინიმუმ 10-ჯერ მაინც

დ)."ვიზიტი დასაქმების ადგილებზე & პროფესიული პრაქტიკის მოსინჯვა" - ყველა შესაძლო შემთხვევაში სკოლა ეცდება განხორციელდეს სასწავლო ვიზიტები კონკრეტულ დაწესებულებებში ამა თუ იმ პროფესიის პრაქტიკული გაცნობის მიზნით. ექსპერტთა მოსაზრებით, მოცემული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ

ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლას შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა (მაგ. ადგილობრივი კოლეგების ან/და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, სასკოლო თემის ინტერესების იდენტიფიცირება, მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული საუნივერსიტეტო პროგრამების მოძიება, სტატისტიკური მონაცემებით გამყარებული დასაქმების ბაზრის კვლევა). მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით **სკოლას მიეცა რჩევა კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა (შესაძლებელია იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი და განხორციელდეს წინასწარ გაწერილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით), რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ერთობა" ფარგლებში შემუშავებული პროფორიენტაციის გეგმა.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში დასაქმებულ სპეც.მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოს მოსწავლის გადამისამართებას დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) სსსმ მოსწავლეებისთვის ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სკოლის დირექტორის ბრძანებით სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება*

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ ამ ეტაპზე არასავალდებულო მომსახურების გაწევა არ ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი არასავალდებულო დამატებითი მომსახურება, რომელსაც სჭირდება კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვება. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ შედგენილი კურიკულუმი , კომპლექსური დავალებები და სადამრიგებლო პროგრამები ასახავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რომელიც ცხოვრების რეალურ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებასაც იწვევს, აძლევენ მოსწავლეებს კონსტრუქციულ უკუკავშირს, ქმნიან პოზიტიურ გარემოს, რაც მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობის წინაპირობაა. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ინტერესები. კომპლექსური ტიპის დავალებები მრავალფეროვანია და მორგებული მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რომ ყველა მოსწავლის ინტერესი თანაბრად იქნას დაცული და იყოს რეალიზებული. გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები. ყურადღება ექცევა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეტაკოგნიტურ პროცესებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები (მაგ: საგანი - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) შექმნეს მასწავლებელთა არსებული გამოცდილების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებზე მუშაობა წარმოადგენს ციკლურ პროცესს და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, ეს იქნება სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები - პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს: კომპლექსური ტიპის დავალებების იდეების შემუშავებაში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უკუკავშირს, მოსწავლეებთან ერთად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. მასწავლებლები საგნობრივი კათედრების დონეზე ახორციელებენ სასწავლო პროცესის ანალიზს, გამოკვეთენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიგნებებს. მშობელთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობა სკოლას დაგეგმილი აქვს სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობით. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება-პროექტები, საწრეო მუშაობის ამსახველი მასალა) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს

უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების

მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მიერ აღინიშნა, რომ ,, წელიწადის ოთხი დროის“ თემის დამუშავებისას I კლასის კურიკულუმში ძირითად ტექსტთან ერთად შემოთავაზებულია : ჟირაფი ჟოზე - წელიწადის დროები (სერია 4 | სეზონი 2) გ.ჭიჭინაძის ლექსი „ღრუბელი“, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ოთხი სურვილი“.„წელიწადი“, „წელიწადის დროები“, ანიმაციური ფილმის ჩვენება და სხვა.

მათემატიკა - დაწყებითების კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩო. I-VI კლასის მათემატიკის საგნის კურიკულუმი/ები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმებით (”მე და საზოგადოება“, “ჩვენი საქართველო”) სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები (“მე და საზოგადოება”, “ჩვენი საქართველო”) საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით წარმოადგინეს გრძელვადიანი მიზნებისა და მისი შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრეს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა

კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას..

სპორტი - ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. შედეგად ვიღებთ მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში.

ტექნოლოგიები - კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კორელაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები. იყენებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო მასალები, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს და მასში იკვეთება მეთოდური ორიენტირები. ორივე საგანში პროცესის დაგეგმვა ხდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებებისა და საფეხურებრივი შედეგების მიხედვით. დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ უპირატესობა კომპლექსური ტიპის დავალებებს ენიჭება და ისინი განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები. საგნობრივ კურიკულუმებში მომავალი სასწავლო პროცესის ხედვაა გაწერილი.

უცხოური ენები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ინგლისური ენის პირველი კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა დახატონ ზოოპარკის ცხოველები და გააცნოს ისინი თანაკლასელებს. ისინი თავად წყვეტენ რომელ ცხოველებს აირჩევენ, როგორ დახატავენ და გააფორმებენ თავიანთ პოსტერს. რუსული ენის მე-5 კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა შექმნან კომიქსი წელიწადის დროებზე. შეუსაბამონ მელოდია , მაგ, ვივალდი, და წარადგინოს იგი კლასის წინაშე. მოსწავლეები ამ შემთხვევაშიც თავად წყვეტენ რა ფორმის კომიქსი ააწყონ (თაბახზე, ვორდის ფაილში აწყობილი თუ PPT-ში აწყობილი და .აშ.), როგორ გააფორმონ იგი, რა მუსიკა შეურჩიონ და ა.შ. რომელი ზღაპრები და გმირები აირჩიონ, როგორ გააფორმონ პოსტერი და რა ფორმატით, რა ინფორმაცია და დაიტანონ მასზე და ა.შ. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული სხვა კურიკულუმებიც ორივე უცხოური ენის შემთხვევაში. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ფარგლებში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო

პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

დაწყებით საფეხურზე ყველა საგობრივ ჯგუფში შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. **სახელმწიფო ენა** - ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს. მაგალითად, დაწყებითის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები- ,, პერსონაჟის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით" და ,, ბეჯითი და ზარმაცი ბიჭის ოთახის ამსახველი სურათების ზეპირი შედარება." (ცირა ქიტიაშვილის მოთხრობა ,,ყოჩაღი"- მე- 2 კლასი)- ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ამავე მიზნებს ემსახურება მე-4 კლასში ზღაპარ ,,ორი ძმის ''გაგრძელება ,,ალადინის" პერსონაჟის ან პერსონაჟების შემოყვანით. მოცემული დავალება მიემართება სამიზნე ცნებებს: ტექსტის გაგება/ინტერპრეტირება, ჟანრი. აღნიშნული ნიმუშები დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს გლობალურ- ფუნქციური უნარების, გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და შედეგების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს ,რომ გრძელვადიანი მიზნები მიიღწევა შუალედური მიზნებით, კერძოდ კომპლექსური დავალებების, პროექტებისა და კლასგარეშე ღონისძიებების განხორციელებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც ჩანს თუ რა უნდა შეძლოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლემ კონკრეტული საგნის ფარგლებში. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები.

მათემატიკა - კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების (მაგ. "ვინ არის მათემატიკური სახლის ბინადარნი" მეორე კლასი, „გაყიდვების მენეჯერი" მესამე კლასი, „ ყვავილნარის დაგეგმარება" მეხუთე კლასი, „სამი ძმის ამოცანა" მეექვსე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, ხდება თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობა. მაგალითად, შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელი ეწყობა, როდესაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან პოსტერი ზოოპარკზე (ინგლისური ენა კლასი I), ბუკლეტი საყვარელ სათამაშოზე (ინგლისური ენა, კლასი II), დაწერონ მისალოცი ბარათი , აღწერონ საკუთარი დღის განრიგი (რუსული ენა, კლასი VI), და ა.შ. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. აღნიშნული კი ხელს უწყობს როგორც კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ისე ხასიათისა და ნებელობის უნარ-ჩვევის განვითარებასაც. ხელი ეწყობა კომუნიკაციის უნარ-ჩვევის განვითარებასაც იმდენად, რამდენადაც მოსწავლეებს პრეზენტაციისას მოეთხოვებათ ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვა, მეტყველების ტიპის შერჩევა, აღწერა, მსჯელობა, კონტექსტუალიზება და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევა (ვერბალური/არავერბალური). რაც შეეხება მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, უცხოური ენის კურიკულუმები ნამდვილად უწყობს ხელს თითოეული მათგანის განვითარებას. წარმოდგენილი

კომპლექსური დავალებების უმეტესობა მათ სთხოვს პრეზენტაციის გაკეთებას, რაც თავისთავად მოიაზრებს საუბარს და ამდენად გადის შემდეგ სამიზნე ცნებებზე/ქვეცნებებზე: ფუნქციური სამეტყველო ქმედებები, კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, ლექსიკა, გრამატიკა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს სტატიის დაწერას და შესაბამისად, ხდება წერითი უნარ-ჩვევის განვითარების ხელშეწყობა. წარმოდგენილი კურიკულუმებით ხდება კითხვის უნარ-ჩვევის განვითარების ხელშეწყობაც, იმდენად რამდენადაც მათ უწევთ გარკვეული ინფორმაციის დამუშავება კომპლექსურების მოსამზადებლად იქნება ეს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები, თუ დამატებით ტექსტები.

დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზით ჩანს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება და ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა. საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გრძელვადიან მიზნებად მითითებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები,გაწერილი შესაბამისი კომპლექსური დავალებებით. რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. სკოლამ ამ მიმართულებით დოკუმენტებად წარმოადგინა ბრძანება ,,სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ.“ ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში .

ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით.

თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი.

კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მოსწავლე ყოველ ეტაპზე ფასდება განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სქემის მიხედვით: დაზუსტება, წახალისება, რჩევა.

დაწყებით საფეხურზე პედაგოგებმა წარმოადგინეს ახლად შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და, როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. პედაგოგები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკასა და მიგნებებს, მსჯელობენ პრობლემებზე და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკული სწავლებისას გამოვლენილ პრობლემებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და ცდილობენ, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები დაწყებით საფეხურზე
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და შეფასებები
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება და კოლეგებთან შეხვედრები
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- პროექტები და მათი რეფლექსიები
- შეფასების ფორმები განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებიდან, თანდართული ნიმუშებიდან და მასწავლებელთა საუბრიდან ჩანს, რომ პედაგოგები ცდილობენ, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, აქტივობებს,კომპლექსურ დავალებებს. კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით. გარდა კომპლექსური დავალებებისა, სასწავლო და არაფორმალური აქტივობებიც მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითებია: ღონისძიება ,,წიგნი ჩემი მეგობარია“, ლიტერატურული წრე, ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული, მათემატიკა, ბუნება). ასევე, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები : ,,ბიჭი და ძაღლის“ მიხედვით მოთხრობის დაწერა, რომელშიც გადმოცემული იქნება როგორ აღმოჩნდა ნაგაზი ქალაქში; იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების ,,იავნანამ რა ჰქმნა“ მიხედვით, სასურველი პერსონაჟის როლის (მაგ. მაგდანასი) მორგება და მეორე პერსონაჟისთვის (მაგ.ნაიბის ცოლისთვის) წერილის მიწერა (მე- 5 კლასი); სკოლის დოკუმენტებში მე-6 კლასის ,,სადამრიგებლო პროგრამაცაა“ წარმოდგენილი , რომელშიც სოციალური და შემოქმედებითი

ღონისძიებებია დაგეგმილი (,,საახალწლო ღონისძიება", დედის დღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი). ჩანს, რომ მასწავლებლებმა კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, სწავლა - სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენების თვალსაზრისით, კერძოდ, სკოლა ჩართული იყო დაწყებითი განათლების G-Pried პროექტში. რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ეცნობოდნენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, გეგმავდნენ და წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ამ პრინციპებზე დაყრდნობით, რაც მოსწავლეებს სთავაზობს სვლას მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ ახლის აღმოსაჩენად. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ ინფორმაცია არ მიიღონ როგორც ფაქტი, არამედ თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები, რაც ხდება ანალიზსა და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების დროსაც მოსწავლეები არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს შექმნიან, არამედ დააკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესსაც. ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს აღმოაჩინონ რა მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ ახალი მასალის ასათვისებლად, რაც მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში დაეხმარება.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ დაწყებით საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის" უნარზე. ამის მაგალითია კურიკულუმის ჩარჩო -დოკუმენტებში მოცემული კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ მე-3 კლასში ნ. ნაკაშიძის ,,ანო და მანოს" სწავლებისას შემოთავაზებული სხვადასხვა საბავშვო კომიქსი, დ. ქართველიშვილის ,,ფრანი", გ. შატბერაშვილის ,,ონავრები" და ვაჟა-ფშაველას ,,ზაფხულის

სიზმარი“. აგრეთვე, ამავე თემაზე კომპლექსური დავალების იდეა :მოთხრობის კომიქსად გარდაქმნა პერსონაჟების ხედვის კუთხის გათვალისწინებით. ზოგადად დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში.

მაგალითად, მე-3 კლასის კომპლექსურ დავალებაზე „გაყიდვების მენეჯერი“ მუშაობისას მოსწავლე სწავლობს რიცხვის თანრიგს, წარმოადგენს რიცხვს სათანრიგო ერთეულის ჯამით. მიღებული ცოდნის გამოყენებით გაყიდულ ტექნიკასთან დაკავშირებით აწარმოებს შემოსავლების დაანგარიშებას და სალაროში დაორგანიზებულად, თანრიგების მიხედვით განთავსებას.

მე-2 კლასის კურიკულუმში მოცემული კომპლექსურ დავალების იდეები ორიენტირებულია სამივე სახის ცოდნის გააქტიურებაზე. მაგალითად: წერილის მიწერა (იაკობ გოგებაშვილის იგავი,,თაგვი და ლომი“); ამბის შეთხზვა (იაკობ გოგებაშვილის ,,სირცხვილი აიცილა“) . მუშაობისას ,,ვარაუდების ცხრილებისა“ და ,,ვარაუდების ღრუბლის“ გამოყენება, აგრეთვე ,,ცნების რუკა“ გვიჩვენებს , რომ პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრებას.

ინგლისური ენის მე-3 კლასის ერთ-ერთი კურიკულუმის მიხედვით, მოსწავლემ უნდა წარმოიდგინოს რომ იგი არის სუპერ შესაძლებლობების მქონდა ადამიანი. თავისი ფანტაზიით მოიფიქროს სუპერ გმირის სახელი დახატოს მისი შესაძლებლობების ამსახველი სურათები, გაუკეთოს შესაბამისი წარწერები და წარუდგინოს იგი კლასს. აღნიშნული დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება გაიხსენოს ის სუპერ გმირები, რომლებიც გაიარა თემის ფარგლებში, ასევე გაიხსენოს მათი შესაძლებლობები და შემდეგ დაიწყოს ფიქრი იმ შესაძლებლობებზე რაც მას სურს რომ ჰქონდეს. მოსწავლეს დასჭირდება გაიხსენოს სახვითი და

გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში ნასწავლი ხატვის გარკვეული ელემენტები. მაგალითად პროფილის დახატვა და ა.შ. მოსწავლეს შეუძლია დავალება შეასრულოს ე.წ. ფეინთის პროგრამაში და ამ შემთხვევაში მას დასჭირდება კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში ნასწავლი მასალის გახსენება და შესაბამისად გამოყენება. გარდა ტექნიკური მხარეებისა, მოსწავლეს დასჭირდება განსაზღვროს რომელი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები დასჭირდება ამ პრეზენტაციისთვის ინგლისურად და აარჩიოს შესაბამისად. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება და სკოლას აქვს მზაობა. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავლების განხორციელება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში თემის ფარგლებში მუშავდება თემასთან დაკავშირებული ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები. ეს ხელს უწყობს კონკრეტულ მაგალითებთან მიმართებით ცოდნათა ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას. სკოლაში განხორციელებულია კომპლექსური დავალებები, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას. მაგალითად: მესამე კლასის მათემატიკის მასწავლებელმა თემის (100-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლება) დამუშავებისთვის გამოიყენა ქართული ხალხური ზღაპარი ,,რწყილი და ჭიანჭველა“. მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ნათლად ჩანდა საგანთა (მათემატიკა-ქართული) შორის კავშირი. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში მკაფიოდ ჩანს მთავარი ორიენტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშუალებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, რადგან დავალებები მოიცავს საკითხის დონეზე დაზუსტებულ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დავალების მნიშვნელოვანი ნაწილებია- შეფასების კრიტერიუმები, ასევე კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება. კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია,

სოციალური ცნობიერება, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში.

ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად, სასწავლო წლის საზეიმო დაწყების ამსახველი ფოტომასალა, პროექტი ,,სიკეთე გადამდებია“, კლასის საათები (,,ჩვენ სიყვარული გვაერთიანებს“, ,,საუბარი მეგობრობაზე“- მე-6 კლასი). მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად ,,დედამიწის დღის“ და ,,დედის დღის“ აღნიშვნა, მე-4 კლასში ,,მე და სამყაროს“ თემაზე სხვადასხვა საგანში განხორციელებული კომპლექსური დავალებების პრეზენტაცია, რომელიც ასახავს მოსწავლეთა მიერ შექმნის სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს: ნახატებს, წერილებს, ჩაწერილ სიუჟეტებს... ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნის როლს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. კათედრის მიერ დაგეგმილი

კომპლექსური დავალებები სხვადასხვა კლასებში თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. **სახელმწიფო ენა** - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის (დაწყებით საფეხურზე) მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მათ მიერ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭვირვალე შეფასებას, თუმცა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სკოლას ამ საფეხურზე არ წარმოუდგენია.

უცხოური ენები - წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების საშუალებას. რუბრიკებში ბუნდოვანებას იწვევს კონკრეტულ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულათა დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7, 2-5 და ა.შ). მაგალითად რუსული ენის საშინაო დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი'' მოსწავლე ვერ ან ნაწილობრივ იგებს სავარჯიშოს ინსტრუქციებს'', რომელსაც მინიჭებული აქვს 2-5 ქულა. ბუნდოვანია რა შემთხვევაში უნდა დაუწეროს მასწავლებელმა 2 ქულა და რა შემთხვევაში 3 ან 5 ქულა. მსგავსი შეუსაბამობაა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების უმეტესობაში. გარდა ამისა, რუბრიკების დიდი ნაწილი არის ზოგადი და არაა მიმართული კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. ზოგადი რუბრიკების გარდა (ზეპირი პრეზენტაციის შეფასება, ჯგუფური მუშაობის შეფასება და ა.შ.) საჭიროა რუბრიკები იყოს მორგებული კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას და მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე. ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა და გაუმჯობესება ხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით.

სკოლას მიეცა რჩევა,

- **სახელმწიფო ენაში დაწყებით საფეხურზე შეიმუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემებთან მიმართებაში.**
- **უცხოურ ენებში შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება (2.2.2.4) ინდიკატორის აღწერაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით.**

ინდიკატორი შეესაბამება

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ დოკუმენტის შესაბამისად და ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება რეგულარულად ეცნობება მშობელს, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები.

6. კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს, რასაც მოწმობს ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები (მაგ: ,,სიკეთე გადამდებია“) მოსწავლეთა დაჯილდოებისა და სიგელების გადაცემის ამსახველი ფოტომასალა, რაც გვიჩვენებს, რომ პრიორიტეტული და წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები, ხოლო მასწავლებლები ხშირად ითავსებენ ფასილიტატორის ფუნქციას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) და პედაგოგებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კათედრებზე (ზოგადად სკოლაში) შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე

დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია მხარდაჭერასა და წახალისებაზე, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო, თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაცია, გაზიარებული პასუხისმგებლობა. სასკოლო საზოგადოების წევრები ზრუნავენ ერთმანეთის წინსვლაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, გუნდური მუშაობის გააქტიურებაზე. პატივს სცემენ სხვათა მოსაზრებას, საპირისპირო აზრის გამოხატვისას არიან კორექტულნი, პოზიცია ყოველთვის არგუმენტირებულია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. მასწავლებლებთან და დირექტორთან პირისპირ გასაუბრება, განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები, პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით მოუსმენენ და დაეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურსია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია
- საგნობრივი კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექცია, პედაგოგები იზიარებენ, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ დირექციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესების გზით, სკოლის პედაგოგების მიერ გააზრებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება პრობლემათა გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა. მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. სკოლას მტკიცებულებად აქვთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიები, კომპლექსური დავალებების ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე.

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა , რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო მანამდე - განმავითარებელს, აქვთ ჯგუფური მუშობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა დაწყებით საფეხურზე რუბრიკები არ აქვთ წარმოდგენილი.

სკოლას მიეცა რჩევა დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენაში შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. ინდიკატორი შეესაბამება.

2. მასწავლებლები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისას, ექსპერტთა მოსაზრებით დასახვეწია შეფასების რუბრიკები, თუმცა აღნიშნული მზაობა სკოლას აქვს. **სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს ყველა ის კონტექსტი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, სკოლამ უნდა განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროს იყენებს: მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, მრავალმხრივი შეფასება განმავითარებელი კომენტარითა და განმსაზღვრელი ნიშნით. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს ტესტებს, საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუს შედეგები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საგნობრივი კურიკულუმები და მოხდება მათი გადამუშავება, შედგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზირების შედეგად მიღებული მიგნებები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ შედგენილი კურიკულუმი , კომპლექსური დავალებები და სადამრიგებლო პროგრამები ასახავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რომელიც ცხოვრების რეალურ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებასაც იწვევს, აძლევენ მოსწავლეებს კონსტრუქციულ უკუკავშირს, ქმნიან პოზიტიურ გარემოს, რაც მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობის წინაპირობაა. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ინტერესები. კომპლექსური ტიპის დავალებები მრავალფეროვანია და მორგებული მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რომ ყველა მოსწავლის ინტერესი თანაბრად იქნას დაცული და იყოს რეალიზებული. გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები. ყურადღება ექცევა თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების მეტაკოგნიტურ პროცესებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესი სკოლაში ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. ამ პროცესში საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. განიხილავენ სწავლა-სწავლების პროცესში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს. მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში. კათედრის წევრებს უზიარებენ გამოცდილებას, განსაზღვრავენ წარმატებების წინაპირობებს და ერთობლივად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

სკოლაში 2023-2024 წწ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სახელმწიფო ენის კათედერა არ არის შექმნილი. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები გაწევრიანებული არიან ენების კათედრაში და ნაკლებად აქვთ საშუალება მჭიდროდ ითანამშრომლონ.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ,,საჯარო სკოლა ვალდებულია საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნას კათედრები, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. კათედრაზე გაერთიანებული იქნება საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა საგნის მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში საგნობრივ ჯგუფში შემავალი თითო საგნის მასწავლებელია, შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლები ერთ კათედრაზე გაერთიანდნენ.“

სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს შორის მეტი თანამშრომლობითი ურთიერთობის ეფექტური მექანიზმი. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ცალკე შეიქმნას სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის კათედრა. ინდიკატორი შეესაბამება

4. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება-პროექტები, საწრეო მუშაობის ამსახველი მასალა) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს. ამის ნიმუშია მე-7 კლასში დავით გურამიშვილის ,,სწავლა მოსწავლეთა“ სწავლებისას შემოთავაზებული უმბერტო ეკოს „ წიგნი თუ კომპიუტერი“; ილია ჭავჭავაძის ,, სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“, მარსელ პრუსტის ,,წიგნის კითხვა“, ხოლო შუალედურ მიზნად გაწერილი არგუმენტირებული ესე: ,, რომელი უფრო მეტ ცოდნას მაძლევს-წიგნი თუ კომპიუტერი“.

უცხოური ენები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ინგლისური ენის მე-7 კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა მოამზადონ საყვარელი სატელევიზიო გადაცემის ანონსი და წარუდგინონ თანაკლასელებს. ისინი თავად წყვეტენ რომელ გადაცემას აირჩევენ, როგორ გააკეთებენ ანონს და რა ინფორმაციას გამოიტანენ მასში. რუსული ენის მე-8 კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ppt პრეზენტაცია მათთვის

საინტერესო დღესასწაულის შესახებ და წარადგინონ კლასის წინაშე. მოსწავლეები ამ შემთხვევაშიც თავად წყვეტენ რა დღესასწაულს აირჩევენ, როგორ გააფორმებენ პრეზენტაციას და რა ინფორმაციას შეიტანენ მასში. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული სხვა კურიკულუმებიც ორივე უცხოური ენის შემთხვევაში. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ფარგლებში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს

საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.**ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სახელმწიფო ენა** -ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს. მაგალითად, კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები: ,, შექმენით ესე თანადგომაზე, სხვისი დარდისა და სიხარულის გაზიარებაზე “, ,, დაწერე ინტერვიუს კითხვები და პასუხები ტექსტის მთავარ პერსონაჟთან (იანგული)“, (მე- 7 კლასი); ,,შექმენი დოკუმენტური ჟანრის ვიდეორგოლი (ნოდარ დუმბაძის

მოთხრობა „ ბოშები “) სათანადო ინფორმაციულ-ვიზუალური მასალის გამოყენებით “ (მე-8 კლასი) ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი , კომუნიკაციის, კოლაბორაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

ამავე მიზნებს ემსახურება მე-9 კლასში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეა: ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე ,,სარჩობელაზედ“ დაყრდნობით არგუმენტირებული ესე ,,პასუხისმგებელია თუ არა საზოგადოება ცალკეული ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.“ აღნიშნული ნიმუშები საბაზო საფეხურზე ხელს უწყობს გლობალურ- ფუნქციური უნარების, გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და შედეგების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

მათემატიკა - მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების (მაგ. “პაროლის შექმნა და გამოცნობა“ მეშვიდე კლასი, ,, მილების დაპროექტება“ მერვე კლასი „მაღალი ობიექტის სიმაღლის გაზომვა“ მეცხრე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, ხდება თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობა. მაგალითად, შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელი ეწყობა, როდესაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან საყვარელი გადაცემის ანონსი, ჩაწერონ ინტერვიუ მშობლებთან მათი ბავშვობის დროინდელი თავისუფალი აქტივობების შესახებ (ინგლისური ენა კლასი VII,), დაამზადონ სარეკლამო ბუკლეტი საოცნებო მაღაზიის შესახებ (რუსული ენა, კლასი VII) შექმნან პოსტერი იმ ქალაქის შესახებ, სადაც გასეირნება სურთ და წარადგინონ კლასის წინაშე (რუსული ენა, კლასი IX) და ა.შ.

საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები, საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. საბაზო საფეხურზე სკოლას არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე.

საბაზო საფეხურზე თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. საბაზოს საფეხურის კურიკულუმი საკმარისად დატვირთულია კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით.

თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი.

კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მოსწავლე ყოველ ეტაპზე ფასდება განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სქემის მიხედვით: დაზუსტება, წახალისება, რჩევა. საბაზო საფეხურზე პედაგოგებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. პედაგოგები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკასა და მიგნებებს, მსჯელობენ პრობლემებზე და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკული სწავლებისას გამოვლენილ პრობლემებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და ცდილობენ, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები საბაზო საფეხურზე
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- პროექტები და მათი რეფლექსიები
- შეფასების ფორმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან, თანდართული ნიმუშებიდან და მასწავლებელთა საუბრიდან ჩანს, რომ ისინი ცდილობენ, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, აქტივობებს,კომპლექსურ

დავალებებს. (მაგალითად, პროექტი „ანაბარი-ჩემი ყულაბაა“ ეს აქტივობები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.). კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით. გარდა კომპლექსური დავალებებისა, სასწავლო და არაფორმალური აქტივობებიც მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ამის მაგალითებია ინტერვიუზე მუშაობა მე-7 კლასში - კითხვები და პასუხების შედგენა ტექსტის მთავარ პერსონაჟთან (იანგული) ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოსის“ სწავლებისას, სკოლის ტრადიციად ქცეული ,,ხუთშაბათობები“ , რომელიც ყოველი თვის ბოლოს იმართება და მიზნად ისახავს სხვადასხვა გზებითა და აქტივობებით წაკითხული წიგნების განხილვას. ასევე, შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები (ენათმეცნიერ ნათია ფონიავასთან განხილული თემა ,,მეგრული ენა, როგორც არამატერიალური მემკვიდრეობა“), სასწავლო პროექტი ,,სტუმრად გურიაში“, რომლის მიზანია ინფორმაციის მოძიება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა და ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ. მასალების შეგროვება ჩოხატაურში არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე და ეროვნული სიწმინდეების მიმართ პატივისცემის გაღვივება. ყოველივე აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ პედაგოგები მზად არიან მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას.

კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის

ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.

აღნიშნული ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, მაგალითად მე- 7 კლასის კურიკულუმში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეა- დოკუმენტური ჟანრის ვიდეორგოლის შექმნა ნოდარ დუმბაძის ,, ბოშების" მიხედვით, სათანადო ინფორმაციულ-ვიზუალური მასალის გამოყენებით, ეფუძნება წინარე ცოდნას , რომელიც გულისხმობს ნოდარ დუმბაძის მოთხრობა ,,ბოშების" შესწავლას. განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა გვიჩვენებს, რომ პედაგოგები აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში. რაც საშუალებას აძლევს მათ, მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განსხვავებული ხედვების წარმოჩენას, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. დავალების წარდგენის დროს წახალისებულია შესრულებულ სამუშაოზე მოსწავლეების რეფლექსია. მოსწავლე საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მე-8 კლასში კომპლექსური დავალების იდეა ანალიტიკური ესეს შექმნა სათაურით: ,, ჩემი „ვეფხისტყაოსანი", რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, საკუთარი სასწავლო გამოცდილება ,,ვეფხისტყაოსნის" გარკვეული ეპიზოდების სწავლის შემდგომ მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით დაარეგულირონ და ესეში ახალ ცოდნად აქციონ. ზოგადად , კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , ამიტომ

ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს და ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტიან სტრატეგიებს.

საბაზო საფეხურის სამივე კლასში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები (სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში) მეტაკოგნიტური სტრატეგიების დაუფლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-8 კლასში მათემატიკაში არჩეულია კომპლექსური დავალება „მილების დაპროექტება“. დავალებაზე მუშაობის პერიოდში მოსწავლეები შეისწავლიან პითაგორას თეორემას. მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. მათ უნდა შეძლონ ნასწავლი ფორმულების დახმარებით ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრა-დაეხმარონ ძმებს წყალგაყვანილობის მილების დაპროექტებაში . დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარებას, ასევე კეთებით სწავლება აამაღლებს მათი მოტივაციას და დაეხმარა საკითხის უკეთესად გაგება-გააზრებაში.

მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ასევე სახელმწიფო ენაში მე-9 კლასის კურიკულუმში მოცემული კომპლექსურ დავალების იდეა , ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე ,, როგორ აისახა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიული წარსული პოემაში ,,ბედი ქართლისა“, რომლის პირობაა ავტორისა და პერსონაჟების პოზიციების წარმოჩენა, ორიენტირებულია სამივე სახის ცოდნის გააქტიურებაზე. ეს და მსგავსი ტიპის დავალებები გვიჩვენებს , რომ პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრებაში.

უცხოურ ენებში წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ინგლისური ენის მე-8 კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლემ მისთვის სასურველი ფორმატით უნდა წარადგინოს პრეზენტაცია ბულინგის თემაზე. ამ დავლების შესასრულებლად მოსწავლეს დასჭირდება ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულებიდან აარჩიოს

შესაბამისი ერთეულები და გამოიყენოს პრეზენტაციისას, ასევე დასჭირდება გაიხსენოს უკვე აქვს თუ არა ნასწავლი ხსენებული თემა სხვა საგანშიც და როგორ გამოიყენოს იგი აღნიშნული დავალების შესასრულებლად. მაგალითად გაიხსენოს იყო თუ არა ფოტოები, რომლებიც შეიცავდა მოწოდებას ''არა ძალადობას'' და გამოადგება თუ არა ეს ფოტოები მას ამ კონკრეტულ შემთხვევაში. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება და სკოლას აქვს მზაობა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

5. კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია რა პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფორმალური აქტივობები.(მაგალითად,მე-9 კლასში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტი „ოქროს კვეთა“ მათემატიკა, ხელოვნება).**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- თემატური ერთეულები , კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურზე
- საგნობრივი კურიკულუმები
- პროექტები ნიმუშები, რეფლექსიები და მოსწავლეთა ნამუშევრები
- შეფასებების რუბრიკები, ზოგადი და კონკრეტული
- კათედრის ოქმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში მკაფიოდ ჩანს მთავარი ორიენტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშუალებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, რადგან დავალებები მოიცავს საკითხის დონეზე დაზუსტებულ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დავალების მნიშვნელოვანი ნაწილებია- შეფასების კრიტერიუმები, ასევე კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება (მაგ: კომპლექსური დავალება მე-9 კლასი-მოქალაქეობა-საკითხი: არჩევნები , იმიტირებული არჩევნების მომზადება, მუშავდება ცნება დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა).

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილ კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში შეთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებისას გამოწვევებთან გამკლავება უწევთ მოსწავლეებს, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ

აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად, სასწავლო წლის საზეიმო დაწყების ამსახველი ფოტომასალა, სასკოლო პროექტი ,,სიკეთე გადამდებია“, კლასის საათები. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს თვითმმართველობა, რომლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია თემატური კლუბების შექმნა, ,,ტვინების ბრძოლის“ შიდა სასკოლო ჩემპიონატი, ,,ტოლერანტობის კვირეული“, ვიზიტი რუხის მოხუცთა თავშესაფარში, ,,დედამიწის კვირეული“ და სხვა. წარმოდგენილი აქტივობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნის როლს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები სხვადასხვა კლასებში თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას.

უცხოური ენები - წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების საშუალებას. რუბრიკებში ბუნდოვანებას იწვევს კონკრეტულ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულათა დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7, 2-5 და ა.შ). მაგალითად რუსული ენის საშინაო დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი'' მოსწავლე ვერ ან ნაწილობრივ იგებს სავარჯიშოს ინსტრუქციებს'', რომელსაც მინიჭებული აქვს 2-5 ქულა. ბუნდოვანია რა შემთხვევაში უნდა დაუწეროს მასწავლებელმა 2 ქულა და რა შემთხვევაში 3 ან 5 ქულა. მსგავსი შეუსაბამობაა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების უმეტესობაში. გარდა ამისა, რუბრიკების დიდი ნაწილი არის ზოგადი და არაა მიმართული კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. ზოგადი რუბრიკების გარდა (ზეპირი პრეზენტაციის შეფასება, ჯგუფური მუშაობის შეფასება და ა.შ.) საჭიროა რუბრიკები იყოს მორგებული კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას და მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე. ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა და გაუმჯობესება ხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით.

სკოლას მიეცა რჩევა, უცხოურ ენებში შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება (2.2.2.4) ინდიკატორის აღწერაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით. .ინდიკატორი შეესაბამება

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ დოკუმენტის შესაბამისად და ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება რეგულარულად ეცნობება მშობელს, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

6. კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს, რასაც მოწმობს ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები მოსწავლეთა დაჯილდოებისა და სიგელების გადაცემის ამსახველი ფოტომასალა, რაც გვიჩვენებს, რომ პრიორიტეტული და წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები, ხოლო მასწავლებლები ხშირად ითავსებენ ფასილიტატორის ფუნქციას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) და პედაგოგებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კათედრებზე (ზოგადად სკოლაში) შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია მხარდაჭერასა და წახალისებაზე, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო, თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაცია, გაზიარებული პასუხისმგებლობა. სასკოლო საზოგადოების წევრები ზრუნავენ ერთმანეთის წინსვლაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, გუნდური მუშაობის გააქტიურებაზე. პატივს სცემენ სხვათა მოსაზრებას, საპირისპირო აზრის გამოხატვისას არიან კორექტულნი, პოზიცია ყოველთვის არგუმენტირებულია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა

მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. მასწავლებლებთან და დირექტორთან პირისპირ გასაუბრება, განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები, პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით მოუსმენენ და დაეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურსია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია
- საგნობრივი კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექცია, პედაგოგები იზიარებენ, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ დირექციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესების გზით, სკოლის პედაგოგების მიერ გააზრებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება პრობლემათა გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა. მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. სკოლას მტკიცებულებად აქვთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიები, კომპლექსური დავალებების ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სასკოლო

საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. მასწავლებლები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისას, ექსპერტთა მოსაზრებით დასახვეწია შეფასების რუბრიკები, თუმცა აღნიშნული მზაობა სკოლას აქვს. **სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს ყველა ის კონტექსტი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, სკოლამ უნდა განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროს იყენებს: მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, მრავალმხრივი შეფასება განმავითარებელი კომენტარითა და განმსაზღვრელი ნიშნით. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს ტესტებს, საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- *ინტერვიუს შედეგები*

➢ *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების

შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საგნობრივი კურიკულუმები და მოხდება მათი გადამუშავება, შედგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზირების შედეგად მიღებული მიგნებები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ შედგენილი კურიკულუმი , კომპლექსური დავალებები და სადამრიგებლო პროგრამები ასახავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რომელიც ცხოვრების რეალურ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებასაც იწვევს, აძლევენ მოსწავლეებს კონსტრუქციულ უკუკავშირს, ქმნიან პოზიტიურ გარემოს, რაც მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობის წინაპირობაა. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ინტერესები. კომპლექსური ტიპის დავალებები მრავალფეროვანია და მორგებული მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რომ ყველა მოსწავლის ინტერესი თანაბრად იქნას დაცული და იყოს რეალიზებული. გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები. ყურადღება ექცევა თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების მეტაკოგნიტურ პროცესებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესი სკოლაში ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. ამ პროცესში საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. განიხილავენ სწავლა-სწავლების პროცესში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს; მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში; კათედრის წევრებს უზიარებენ გამოცდილებას, განსაზღვრავენ წარმატებების წინაპირობებს და ერთობლივად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

სკოლაში 2023-2024 წწ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სახელმწიფო ენის კათედერა არ არის შექმნილი. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები გაწევრიანებული არიან ენების კათედრაში და ნაკლებად აქვთ საშუალება მჭიდროდ ითანამშრომლონ.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ,,საჯარო სკოლა ვალდებულია საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნას კათედრები, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. კათედრაზე გაერთიანებული იქნება საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა საგნის მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში საგნობრივ ჯგუფში შემავალი თითო საგნის მასწავლებელია, შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლები ერთ კათედრაზე გაერთიანდნენ.“

სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს შორის მეტი თანამშრომლობითი ურთიერთობის ეფექტური მექანიზმი. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ცალკე შეიქმნას სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის კათედრა. ინდიკატორი შეესაბამება

4. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება-პროექტები, საწრეო მუშაობის ამსახველი მასალა) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს. ამის ნიმუშია მე-10 კლასში იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამებისას“ მოცემული კომპლექსური დავალების პირობა, ანალიტიკური ესეს დაწერა: ,,ადამიანი გოლგოთის გზაზე“ და მასთან მიმართებაში გაწერილი კონტექსტმაგალითები (სახარებისეული იგავები; ანა კალანდაძისა და ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ შუშანიკზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებები) ; შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას დასაწერი ესე ,,უბრალო სისხლი“ - თუ ,,მართალი სამართალი?!“ (კონტექსტმაგალითი ,,ვარდის ფურცლობის ნიშანი“).

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფებს მიკუთვნებული საგნებში სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, (ნორჩი ფერმწერი, ტყე შეუნახე შვილებსა, ვთესოთ სიკეთე, წიგნი ჩემი მეგობარია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, ,,ნინა სქანი, რინა სქანი“) რომლებიც მტკიცებულების სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად: მუსიკა 11 კლასში ახორციელებს პროექტს თემაზე: სტუმრად ოპერის თეატრში და ქართული ანდერგრაუნდი, ხელოვნებაში: კულტურული მემკვიდრეობა და ხელოვნება

როგორც გამოსახვის საშუალება/ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში.-სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.

უცხოურ ენებში შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ინგლისური ენის მე-10 კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა გააკეთონ მათთვის სასურველი ქართული პროდუქტის რეკლამირება უცხოეთში გამართულ ფესტივალზე. ისინი თავად წყვეტენ რომელ პროდუქტს აირჩევენ, როგორ გააკეთებენ რეკლამას (პოსტერით, ვიდეო რგოლით და ა.შ) და რა სახის ინფორმაციას დაიტანენ. რუსული ენის მე-12 კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ პრეზენტაცია თემაზე, „ცნობილი ადამიანების პირადი ურთიერთობები''. მოსწავლეები ამ შემთხვევაშიც თავად წყვეტენ რომელი ცნობილი ადამიანები აირჩიონ, რა ინფორმაცია გამოიტანონ ნაშრომში და რა ფორმატით წარადგინონ იგი. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული სხვა კურიკულუმებიც ორივე უცხოური ენის შემთხვევაში. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ფარგლებში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში

ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები: შექმენი ანალიტიკური ესე ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ მიხედვით: „ იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“ (მე- 12 კლასი), რაც უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი , კომუნიკაციის, კოლაბორაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

ამავე მიზნებს ემსახურება მე-10 კლასში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეა: არგუმენტირებული ესეს დაწერა თემაზე :,,უბრალო სისხლი“ - თუ ,,მართალი სამართალი?!“ აღნიშნული ნიმუშები საშუალო საფეხურზე ხელს უწყობს გლობალურ- ფუნქციური უნარების, გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა (ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი) და შედეგების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, ხდება თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობა. მაგალითად, შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელი ეწყობა, როდესაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან რომელიმე ქართული პროდუქტის რეკლამა, საკუთარი ქალაქის ტურისტული ბუკლეტის შექმნა (ინგლისური ენა კლასი X), სტატიის დაწერა სკოლის კედლის გაზეთისთვის თემაზე „ რეპრესირებული ქართველი და რუსი მწერლები“ (რუსული ენა, კლასი XII), ბლოგის გაკეთება (ინგლისური ენა, კლასი XII) და ა.შ.

საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და

შედეგები). კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები, საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.

3. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. საშუალო საფეხურზე სკოლას არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე.

საშუალო საფეხურზე თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. საშუალო საფეხურის კურიკულუმი საკმარისად დატვირთულია კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება**.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით.

თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი.

კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მოსწავლე ყოველ ეტაპზე ფასდება განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სქემის მიხედვით: დაზუსტება, წახალისება, რჩევა.

საშუალო საფეხურზე პედაგოგებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.

5. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. პედაგოგები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკასა და მიგნებებს, მსჯელობენ პრობლემებზე და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკული სწავლებისას გამოვლენილ პრობლემებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და ცდილობენ, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები საშუალო საფეხურზე
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- პროექტები და მათი რეფლექსიები
- შეფასების ფორმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებიდან, თანდართული ნიმუშებიდან და მასწავლებელთა საუბრიდან ჩანს, რომ პედაგოგები ცდილობენ, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, აქტივობებს, კომპლექსურ დავალებებს. კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით. გარდა კომპლექსური დავალებებისა, სასწავლო და არაფორმალური აქტივობებიც მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამის მაგალითია სკოლის ტრადიციად ქცეული ,,ხუთშაბათობები“ , რომელიც ყოველი თვის ბოლოს იმართება და მიზნად ისახავს სხვადასხვა გზებითა და აქტივობებით

წაკითხული წიგნების განხილვას. ასევე, შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები (ენათმეცნიერ ნათია ფონიავასთან განხილული თემა ,,მეგრული ენა, როგორც არამატერიალური მემკვიდრეობა“), სასწავლო პროექტი ,,სტუმრად გურიაში“, რომლის მიზანია ინფორმაციის მოძიება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა და ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ. მასალების შეგროვება ჩოხატაურში არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე და ეროვნული სიწმინდეების მიმართ პატივისცემის გაღვივება. 14 აპრილს, ენის დღისადმი მიძღვნილი პროექტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ პედაგოგები მზად არიან მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.**ინდიკატორი შეესაბამება**.

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას.

კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. **ინდიკატორი შეესაბამება**.

3. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განსხვავებული ხედვების წარმოჩენას, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. დავალების წარდგენის დროს წახალისებულია შესრულებულ სამუშაოზე მოსწავლეების რეფლექსია. მოსწავლე საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. **ინდიკატორი შეესაბამება**.

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს

დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. (მაგალითად, მე-11 კლასში წინა წელს განხორციელდა კომპლექსური დავალება“ლაშქრობის დაგეგმვა“. მას შემდეგ რაც მოსწავლეებმა ისწავლეს სივრცული ფიგურების ზედაპირის ფართობის გამოთვლა, მიღებული ცოდნის გამოყენებით შეძლეს გამოეთვალათ კარვის დასამზადებლად საჭირო მასალა, ასევე ემსჯელათ რა ფორმის კარვის დამზადება იქნებოდა მათთვის უფრო ხელსაყრელი.).

უცხოურ ენაში წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, რუსული ენის მე-12 კლასის ერთ-ერთი კურიკულუმის მიხედვით, მოსწავლემ უნდა მოამზადოს პრეზენტაცია საყვარელი მწერლის სასიყვარულო ისტორიის შესახებ. აღნიშნული დავალებისთვის მოსწავლეს ალბათ დასჭირდება გაიხსენოს ის მწერლები, რომლებიც მას ნასწავლი აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის ფარგლებში, ან თავად ინგლისური ენის ფარგლებში და დაფიქრდეს ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე საინტერესო სასიყვარულო ისტორია და გამოადგებათ თუ არა ეს ისტორია პრეზენტაციისთვის. პრეზენტაცია მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს რომელიმე ციფრული რესურსის საშუალებით და მას ამ შემთხვევაში უკვე დასჭირდება კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში ნასწავლი მასალის გახსენება და შესაბამისად გამოყენება. გარდა ტექნიკური მხარეებისა, მოსწავლეს დასჭირდება განსაზღვროს რომელი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები დასჭირდება ამ პრეზენტაციისთვის ინგლისურად და აარჩიოს შესაბამისად. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება და სკოლას აქვს მზაობა.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.**ინდიკატორი შეესაბამება**.

5. კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია რა პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფორმალური აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- თემატური ერთეულები , კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე
- საგნობრივი კურიკულუმები
- პროექტები ნიმუშები, რეფლექსიები და მოსწავლეთა ნამუშევრები
- შეფასებების რუბრიკები, ზოგადი და კონკრეტული
- კათედრის ოქმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში მკაფიოდ ჩანს მთავარი ორიენტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშუალებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, რადგან დავალებები მოიცავს საკითხის დონეზე დაზუსტებულ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დავალების მნიშვნელოვანი ნაწილებია- შეფასების კრიტერიუმები, ასევე კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება. კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას.**ინდიკატორი შეესაბამება.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში შეთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებისას გამოწვევებთან გამკლავება უწევთ მოსწავლეებს, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად, სასწავლო წლის საზეიმო დაწყების ამსახველი ფოტომასალა, სასკოლო პროექტი ,,სიკეთე გადამდებია“, კლასის საათები. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს თვითმმართველობა, რომლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია თემატური კლუბების შექმნა, ,,ტვინების ბრძოლის“ შიდა სასკოლო ჩემპიონატი, ,,ტოლერანტობის კვირეული“, ვიზიტი რუხის მოხუცთა თავშესაფარში, ,,დედამიწის კვირეული“ და სხვა. წარმოდგენილი აქტივობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ

განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნის როლს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები სხვადასხვა კლასებში თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას.

უცხოური ენები - წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების საშუალებას. რუბრიკებში ბუნდოვანებას იწვევს კონკრეტულ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულათა დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7, 2-5 და ა.შ). მაგალითად რუსული ენის საშინაო დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი'' მოსწავლე ვერ ან ნაწილობრივ იგებს სავარჯიშოს ინსტრუქციებს'', რომელსაც მინიჭებული აქვს 2-5 ქულა. ბუნდოვანია რა შემთხვევაში უნდა დაუწეროს მასწავლებელმა 2 ქულა და რა შემთხვევაში 3 ან 5 ქულა. მსგავსი შეუსაბამობაა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების უმეტესობაში. გარდა ამისა, რუბრიკების დიდი ნაწილი არის ზოგადი და არაა მიმართული კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. ზოგადი რუბრიკების გარდა (ზეპირი პრეზენტაციის შეფასება, ჯგუფური მუშაობის შეფასება და ა.შ.) საჭიროა რუბრიკები იყოს მორგებული კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას და მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე. ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა და გაუმჯობესება ხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით.

სკოლას მიეცა რჩევა, უცხოურ ენებში შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება (2.2.2.4) ინდიკატორის აღწერაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით. .ინდიკატორი შეესაბამება

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ დოკუმენტის შესაბამისად და ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება რეგულარულად ეცნობება მშობელს, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

6. კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს, რასაც მოწმობს ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები მოსწავლეთა დაჯილდოებისა და სიგელების გადაცემის ამსახველი ფოტომასალა, რაც გვიჩვენებს, რომ პრიორიტეტული და წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები, ხოლო მასწავლებლები ხშირად ითავსებენ ფასილიტატორის ფუნქციას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) და პედაგოგებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კათედრებზე (ზოგადად სკოლაში) შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის

შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია მხარდაჭერასა და წახალისებაზე, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო, თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაცია, გაზიარებული პასუხისმგებლობა. სასკოლო საზოგადოების წევრები ზრუნავენ ერთმანეთის წინსვლაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, გუნდური მუშაობის გააქტიურებაზე. პატივს სცემენ სხვათა მოსაზრებას, საპირისპირო აზრის გამოხატვისას არიან კორექტულნი, პოზიცია ყოველთვის არგუმენტირებულია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. მასწავლებლებთან და დირექტორთან პირისპირ გასაუბრება, განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები, პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით მოუსმენენ და დაეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურსია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექცია, პედაგოგები იზიარებენ, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის

შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ დირექციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესების გზით, სკოლის პედაგოგების მიერ გააზრებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება პრობლემათა გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა. მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. სკოლას მტკიცებულებად აქვთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიები, კომპლექსური დავალებების ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. მასწავლებლები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისას, ექსპერტთა მოსაზრებით დასახვეწია შეფასების რუბრიკები, თუმცა აღნიშნული მზაობა სკოლას აქვს. **სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს ყველა ის კონტექსტი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, სკოლამ უნდა განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროს იყენებს: მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, მრავალმხრივი შეფასება განმავითარებელი კომენტარითა და განმსაზღვრელი ნიშნით. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს ტესტებს, საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- *ინტერვიუს შედეგები*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საგნობრივი კურიკულუმები და მოხდება მათი გადამუშავება, შედგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზირების შედეგად მიღებული მიგნებები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

- კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზვიად ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მამუკა ხამხაძე -

ხათუნა თოიძე -

ეკა კობიაშვილი -

ნინო ბლუაშვილი -

ნატო შაინიძე -

ნანა ნოზაძე -

ხათუნა ქერაშვილი -

ნანა ცინცაძე -

მიხეილ გაფრინდაშვილი -

ქეთევან ცირეკიძე -

თარიღი: 13.11.2023 წ.